

ქვემო ქართლი



I. ზოგადი მიმოხილვა

1. ტერიტორიის ფართობი

ქვემო ქართლის ტერიტორიის ფართობი 6 423.7 კვ.კმ-ია, რაც საქართველოს მთლიანი ტერიტორიის 9.2%-ს შეადგენს.




რეგიონს ესაზღვრება თბილისი, სამცხე-ჯავახეთი, შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, კახეთი. ქვემო ქართლს სახელმწიფო საზღვარი აქვს სომხეთთან და აზერბაიჯანთან.

2. თვითმმართველი ერთეულები

რეგიონის შემადგენლობაში შედის თვითმმართველი ქალაქი რუსთავი და ექვსი თვითმმართველი ერთეული – **ბოლნისი, გარდაბანი, დმანისი, თეთრიწყარო, წალკა, მარნეული**, 5 დაბა და 345 სოფელი. ქვემო ქართლის ადმინისტრაციული ცენტრი – ქ. რუსთავი თბილისიდან დაშორებულია 29 კმ-ით. იგი მდებარეობს ზღვის დონიდან დაახლოებით 350 მ. სიმაღლეზე.

ქვემო ქართლის ტერიტორიული ერთეულების ფართობი (კვ.კმ)



II. ბუნებრივი რესურსები და ბარემო

1. მინერალურ-რეკრეაციული რესურსები


რეგიონში მოიპოვება შემდეგი მინერალური რესურსები – ოქრო, სპილენძი, ბარიტი, ვერცხლი, მადნეული, ვოლფრამი, ნიკელი, რკინა, თუთია,

სულფატი, მარგანეცი, ბაზალტი, გრანიტი, ტუფი, მარმარილო, ქვალორდი, გაჯი, თეთრი ქვა, ვულკანური შლაკები, ბერთილის შავი ქვა, საკირე ქვა, ქვიშა, ტორფი და პემზა.

2. მიწის რესურსი

ქვემო ქართლში ნიადაგი მდიდარია კალციუმითა და მაგნიუმით. ყოველივე იძლევა საშუალებას იწარმოოს მაღალი კვებითი ღირებულების, ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქტები. რეგიონის მიწის მთლიანი ფონდის 53.5% სასოფლო-სამეურნეო მიწებს უკავია.

მიწის ფონდის განაწილება (ათასი ჰა)



3. წყლის რესურსი

რეგიონის ტერიტორია მდიდარია წყლის რესურსით. მიედინება შემდეგი მდინარეები: მტკვარი, ალგეთი, იორი, ჯანდარი, კუმისი, ქცია, მაშავერა, შავიწყალი, ფოლადაური, გეტა, ხრამი, ალგეთი, ფინეზაური, დემედა. რეგიონში არის წყალსაცავები, ბუნებრივი ტბები და გუბურები.

წყალსაცავებში აღსანიშნავია წალკის წყალსაცავი, რომლის ფართობი 33.7 კმ²-ს შეადგენს. მისი სიღრმე საშუალოდ 9.3 მეტრია, ხოლო მაქსიმალური 25 მეტრია.

4. სატყეო რესურსი

რეგიონში ტყის ფონდს 168.5 ათასი ჰა ფართობი უკავია. ტყის ფართობის ყველაზე დიდი წილი თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტშია – რეგიონის მთლიანი ტყის ფონდის 32.4%, ბოლნისი – 25.5%, დმანისი – 14.2%, გარდაბანი – 13.9 და ა.შ.

5. დაცული ტერიტორიები

1957 წელს დაარსდა გარდაბნის ალკეოთილი, რომლის საერთო ფართობი 3.5 ათას ჰექტარს შეადგენს.

III. სოციალური და კულტურული კაპიტალი

1. მოსახლეობა

2009 წლის წინასწარი მონაცემებით რეგიონის მოსახლეობა 505.8 ათას ადამიანს შეადგენს, რაც საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 11.5%-ია. 2008 წელთან შედარებით მოსახლეობის რაოდენობა 0.37%-ით გაიზარდა, თუმცა 2000 წელთან შედარებით 3%-ით შემცირდა. ეთნიკური შემადგენლობის მიხედვით რეგიონის მოსახლეობის დაახლოებით 42.8% ქართველია, 45.3% – აზერბაიჯანელი, 7.8% – სომეხი, 1.4% – ბერძენი და 2.4% – სხვა ეროვნება.

2008 წელს დაბადებულთა რაოდენობა 6 870 ადამიანია, რაც საქართველოს მასშტაბით დაბადებულთა 12.1%-ს შეადგენს, ხოლო გარდაცვლილთა რაოდენობამ 3 459 ადამიანი შეადგინა, მთლიანი მაჩვენებლის 8%.

2. ბანათლება

რეგიონში 277 საჯარო სკოლა და 16 კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ფუნქციონირებს, სადაც სწავლობს 72 ათას მოსწავლეზე მეტი. პედაგოგთა რაოდენობა ათასს აღემატება. სკოლებში პროფესიონალ პედაგოგთა დეფიციტია. რეგიონის სკოლამდელი აღზრდის 80-მდე დაწესებულებაში 6 ათასზე მეტი აღსაზრდელი ირიცხება.

3. სოციალური უზრუნველყოფა

ქვემო ქართლში პენსიონერთა რაოდენობა 70 ათას აღემატება, რაც მთლიან პენსიონერთა 8.4%-ს შეადგენს. ამასთან, რეგიონის პენსიონერთა 79% ასაკით პენსიონერია.

2009 წლის იანვრის მდგომარეობით „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა

ერთიან ბაზაში“ შეყვანილია და დახმარებას იღებს 27 ათასზე მეტი ადამიანი.

4. კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობა

რეგიონი კულტურულ-ისტორიული და რეკრეაციული ადგილების სიმრავლით გამოირჩევა, სადაც 900-ზე მეტი ისტორიული ძეგლია, რომელთაგან რამდენიმე მსოფლიო საგანძურთა ნუსხაშია შეტანილი.

აღსანიშნავია ბოლნისის სიონის V საუკუნის ტაძარი, მონასტერზე არსებული წარწერა კი ქართული ეპიგრაფიკის უძველესი ნიმუშია. **დმანისის ნაქალაქარი** 1.8–1.7 მილიონი წლით თარიღდება, სადაც აღმოჩენილია უძველესი ჰუმანოიდები „ზეზვა“ და „მზია“, რაც საუკუნის აღმოჩენად არის მიჩნეული და იუნესკოს მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა სიაშია შეტანილი.

რეგიონში ფუნქციონირებს 43 ბიბლიოთეკა, 4 კულტურული ცენტრი, კინო, თეატრი და 119 სტადიონი.

IV. ადგილობრივი ინფრასტრუქტურა

1. ტექნიკური ინფრასტრუქტურა

რეგიონში საცხოვრებელი სახლების რაოდენობა 50 ათასს აღემატება; ცენტრალური წყალმომარაგებით უზრუნველყოფილია დაახლოებით 54 ათასი ოჯახი; საკანალიზაციო სისტემა 43 ათასზე მეტ ოჯახს ემსახურება; გაზმომარაგებით სარგებლობს თითქმის 47 ათასი ოჯახი; საირიგაციო სისტემების დიდი ნაწილი საჭიროებს აღდგენა-გაწმენდას; სატელეფონო ქსელში ჩართულია 33 ათასზე მეტი ოჯახი; ინტერნეტით უზრუნველყოფის მხრივ ხელმისაწვდომია ADSL მომსახურება, რომელსაც სთავაზობს ორი ინტერნეტ-პროვაიდერი: გაერთიანებული ტელეკომი და Caucasus Online.

2. საგზაო ინფრასტრუქტურა

გარდაბანი – გზების საერთო სიგრძე 183.7 კმ-ია. შიდა გზების რაოდენობა 44-ს შეადგენს. მუნიციპალიტეტში ცენტრალური გზა მოასფალტებულია, შიდა გზები საჭიროებს რეაბილი-

ცაცის, სოფლებში მისასვლელი გზები კი შეკეთებასა და მოხრეშვას.

წალკა – მოასფალტებული გზა მხოლოდ ქ. წალკაშია. ქ. წალკის ზედა სოფლებთან მისასვლელი ე.წ. შავი გზები ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. არსებობს სარკინიგზო ხაზი თბილისიდან წალკამდე თეთრიწყაროს გავლით.


ბოლნისი – მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის საერთაშორისო მნიშვნელობის გზა თბილისი – გეგუთი, რომლის სიგრძეა 96,4 კმ. რეგიონში განლაგებულია 15 ხიდი, მათ შორის 2 – საერთაშორისო, 2 – შიდა სახელმწიფოებრივი, 9 – ადგილობრივი და 3 – ისტორიული მნიშვნელობის (ე.წ. “თამარის ხიდი” და სხვა) ხიდი.

ღმანისი – საავტომობილო გზები ფაქტიურად მთლიანად სარეაბილიტაცია. სახელმწიფო მნიშვნელობის გზების სიგრძე 75 კმ-ია, აღსადგენია 70 კმ (93.3%). ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძე 482.6 კმ-ია, აღსადგენია 412.3 კმ (85.4%). მუნიციპალიტეტში 41 ხილია, თუმცა რამდენიმე მათგანი კაპიტალურ შეკეთებას საჭიროებს.

თეთრიწყარო – სახელმწიფო მნიშვნელობის გზების მთლიანი სიგრძე 166 კმ-ია, ხოლო აღსადგენი საფარის სიგრძე 126 კმ-ს (75.9%) შეადგენს. ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძე 350 კმ-ია, აღსადგენი საფარის სიგრძე – 290 კმ-ია. რეგიონში სულ 14 ხილია.

რეგიონში 2004-2008 წლებში სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა ჯამში 190 კმ. სიგრძის საგზაო მონაკვეთზე. 2009 წელს სამუშაოები მიმდინარეობს 94 კმ. გზის მონაკვეთზე.

მასშტაბით რეგისტრირებულ საწარმოთა 8.2%-ს შეადგენს.



2. დასაქმება

რეგიონში აქტიური მოსახლეობა 193 ათას ადამიანს შეადგენს (მთლიანი აქტიური მოსახლეობის 10,1%), მათ შორის დასაქმებულთა რაოდენობა 173 ათას ადამიანს აღწევს, რაც რეგიონის აქტიური მოსახლეობის 89.3%-ია. რეგიონში უმუშევრობის დონე 10.7%-ს უტოლდება.

ათასი კაცი

2008 წელი	ქვემო ქართლი		საქართველო
	რაოდენობა	წილი	რაოდენობა
სულ აქტიური მოსახლეობა	193,8	10,1	1 917,8
მომუშავე	173,0	10,8	1 601,9
დაქირავებული	52,0	9,1	572,4
თვითდასაქმებული	120,8	11,7	1 028,5
გაურკვეველი	0,2	19,2	1,1
უმუშევარი	20,8	6,6	315,8
უმუშევრობის დონე (%)	10,7		16,5
აქტიურობის დონე (%)	63,6		62,6
დასაქმების დონე (%)	56,7		52,3

V. ადგილობრივი ეკონომიკა

1. რეგისტრირებული სუბიექტები


ეკონომიკური

ქვემო ქართლის რეგიონში, ისე როგორც საქართველოში, რეგისტრირებული საწარმოების რაოდენობა ზრდადი დინამიკით ხასიათდება. რეგიონში 2008 წელს რეგისტრირებულია 21 ათასზე მეტი სუბიექტი, რაც საქართველოს

3. ეკონომიკა

ქვემო ქართლში შექმნილმა მთლიანმა დამატებულმა ღირებულებამ 1 363.8 მლნ ლარი შეადგინა, რაც საქართველოს მასშტაბით შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულების 9.3%-ია.

რეგიონში შექმნილ მთლიან დამატებულ ღირებულებაში ყველაზე დიდი წილი სოფლის მეურნეობის სექტორს უკავია, მთლიანი მოცულობის 16%, ვაჭრობას – 14.1%, მრეწველობას – 13.7%, მომსახურებას – 12.9% და ა.შ.



აღსანიშნავია, რომ 2008 წელს წინა წელთან შედარებით ყველაზე დიდი ზრდა სამშენებლო სექტორში – 74.6% დაფიქსირდა, განათლებაში – 45.3%, ჯანდაცვის ფეროში – 24.3% და ა.შ.

რეგიონში 2004-2008 წლებში ეკონომიკის ყველა დარგსა და სფეროში გაიზარდა პროდუქციის გამოშვების და ბრუნვის მოცულობა. ცხრილში წარმოდგენილია 2008 წლის მონაცემები.

2008 წელი		ქვემო ქართლი		საქართველო
		რაოდენობა	%	რაოდენობა
მრეწველობა	დასაქმება (კაცი)	13 303	15,5%	85 711
	ბრუნვა (მლნ. ლ)	893,8	19,3%	4 637,6
	გამოშვება (მლნ.ლ)	837,2	21,9%	3 821,8
სამეურნეო სფერო	დასაქმება (კაცი)	26 863	7,7%	349 250
	ბრუნვა (მლნ. ლ)	1 174,1	6,0%	19 650,7
	გამოშვება (მლნ.ლ)	991,9	9,7%	10 248,4
ტრანსპორტი და კავშირბა.	დასაქმება (კაცი)	644	1,3%	50 560
	ბრუნვა (მლნ. ლ)	19,7	0,7%	3 004,7
	გამოშვება (მლნ.ლ)	16,6	0,8%	2 043,6
მშენებლობა	დასაქმება (კაცი)	1 558	4,1%	38 109
	ბრუნვა (მლნ.ლ)	34,0	2,4%	1 412,0
	გამოშვება (მლნ.ლ)	33,4	2,3%	1 434,7
ვაჭრობა	დასაქმება (კაცი)	2 892	5,2%	55 278
	ბრუნვა (მლნ.ლ)	153,6	1,7%	9 238,0
	გამოშვება (მლნ.ლ)	19,5	1,3%	1 464,7

4. სოფლის მეურნეობა

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნოყიერი ნიადაგისა და არსებული კლიმატის გამო ზოგიერთ მუნიციპალიტეტში, მაგალითად ბოლნისში, წალკაში, მარნეულსა და სხვა მუნიციპალიტეტებში მოსავალი წელიწადში რამდენჯერმე

მოყავთ. რეგიონში ძირითადად განვითარებულია მეცხოველეობა, მემარცვლეობა, მებოსტნეობა და მევენახეობა.

აღსანიშნავია, რომ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და სასაწყობე მეურნეობების ნაკლებობა, საირიგაციო სისტემების გაუმართაობა, სარწყავი წყლის სიძვირე ხელს უშლის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ათვისებას.

5. საწარმოები

2009 წლის მონაცემებით ქვემო ქართლში მოქმედ საწარმოთა რაოდენობა იყო 3591, რაც მთლიანად საქართველოში მოქმედ საწარმოთა რაოდენობის 9.7 პროცენტია. მათ შორის:

- მსხვილი საწარმოა – 106
- საშუალო საწარმო – 237
- მცირე საწარმო – 3238

რეგიონში მოქმედებს 59 მსხვილი საწარმო, რაც საქართველოს მასშტაბით მსხვილი საწარმოების 5.1%-ს შეადგენს.

ქ. რუსთავი:

ქალაქ რუსთავში მოქმედებს 28 მსხვილი საწარმო, მათ შორის ყველაზე მსხვილებია:

- სს „ენერჯი ინვესტი“ – მინერალური სასუქების წარმოება;
- სს „რუსთავცემენტი“ – ცემენტის წარმოება;
- შპს „ვაგონშემკეთებელი კომპანია“ – რკინიგზისა და ტრამვაის ლოკომოტივებისა და მოძრავი შემადგენლობის რემონტი (სპეციალიზირებული);
- შპს „ქართული ცემენტი“ – ცემენტის წარმოება;
- სს „ქაზბეგი“ – ლუდის წარმოება;
- სს „ქართული ფოლადი“ – თუჯის, ფოლადის და ფეროშენადნობების წარმოება და სხვა.

ბოლნისის მუნიციპალიტეტში მოქმედებს 9 მსხვილი საწარმო გადამამუშავებელ მრეწველობაში, ვაჭრობასა და მომსახურებაში, მათ შორის აღსანიშნავია:

- სს „მადნეული“ – სხვა ფერადი, იშვიათი და ძვირფასი ლითონების მადნების მოპოვება და გამდიდრება (დაბა კაზრეთი);
- შპს „კვარციტი“ – ძვირფასი ლითონების წარმოება (დაბა კაზრეთი);
- შპს „ქცია სერვისი“ – საავტომობილო სატვირთო ტრანსპორტის საქმიანობა (დაბა კაზრეთი);
- შპს „სავანეთი-99“ – კვერცხის წარმოება (სოფ. სავანეთი); და სხვა.

გარდაბანის მუნიციპალიტეტში მოქმედებს 9 მსხვილი საწარმო, მათ შორის:

- სს „თბილსრესი“ – ელექტროენერჯის წარმოება თბოელექტროსადგურების მიერ (ქ. გარდაბანი);
- შპს „მტკვარი ენერჯეტიკა“ – ელექტროენერჯის წარმოება თბოელექტროსადგურების მიერ (ქ. გარდაბანი);
- შპს „კუმისი XXI“ – კვერცხის წარმოება (სოფ. კუმისი);
- შპს „უნივერსალი-93“ – ასფალტბეტონის წარმოება (რუსთავის გზატკეცილი); და სხვა.

მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედებს 11 მსხვილი საწარმო, მათ შორის:

- შპს „კარმენ“ – ფქვილის წარმოება (ქ. მარნეული);
- შპს „ქცია“ – ხიდების, გზების, ესტაკადების, ტუნელების მშენებლობა (სოფ. არაფლო).

თეთრიწყარო:


- შპს „დილის პროდუქტები“ – ხორც-კვერცხის შერეული წარმოება (სოფ. კოდა).

წალკა:

- სს „ხრამჭესი-1“ – ელექტროენერჯის წარმოება ჰიდროელექტროსადგურების მიერ (სოფ. ხრამჭესი).

6. პრივატიზაცია

ქვემო ქართლის რეგიონში 2008 წელს პრივატიზებული ობიექტების რაოდენობამ 31 ერთეულს მიაღწია, რაც საქართველოს მასშტაბით პრივატიზებულ ობიექტთა მხოლოდ 4.9%-ს შეადგენს.



7. საფინანსო სექტორი

საფინანსო საკრედიტო დაწესებულებები: რეგიონში არის “საქართველოს ბანკის” 8 ფილიალი, “თიბისი ბანკის” – 1, “ტაო პრივატ ბანკის” – 1, “ბანკი რესპუბლიკას” – 2. “პროგრედიტ ბანკის” – 2, “ინვესტ ბანკის” – 3, “ვი თი ბი ბანკის” – 3, და “სახალხო ბანკის” ფილიალები.

VI. ტურიზმი

1. პოტენციური ტურიზმი

რეგიონში არსებობს პოტენციური ისეთი ექსტრემალური ტურიზმის განვითარებისათვის, როგორცაა სწრაფდაშვება მდ. ხრამზე, პარაშუტით ხტომა და საცხენოსნო და სამონადირეო ტურიზმი.

რეგიონში მნიშვნელოვანია ტურიზმის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ტურისტული საინფორმაციო ცენტრების/სააგენტოების გახსნა და ამ გზით, ადგილობრივი მეწარმეების სტიმულირება დასასვენებელი ბიზნესის განსავითარებლად.


2. ტურიზმის აღზივები

ბოლნისი ისტორიულად ცნობილია სანახაობითი ტურიზმით, თუმცა ამჟამად შემცირებულია უცხოელ ტურისტთა ნაკადები, გამონაკლისს წარმოადგენენ გერმანელები, რომლებიც ინტერესდებიან ქ. ბოლნისში არსებული გერმანელების ნასახლარებით, გერმანიის ხეივანთა და მათგან შემორჩენილი კულტურულ-ისტორიული ძეგლებით. ყოველწლიურად ქ. ბოლნისს სტუმრობს დაახლოებით 100-მდე გერმანელი ტურისტი.

დმანისი ცნობილია დასასვენებელი და სანახაობითი, განსაკუთრებით კი რეკრეაციული ტურიზმით. მუნიციპალიტეტი თავისი სუფთა და მშრალი ჰაერით, რომელიც კარგად ზემოქმედებს ასთმისა და ბუნებრივი სამკურნალო წყლებით მუდამ იზიდავს დამსვენებელს. ხოლო 2000-იანი წლების დასაწყისში აღმოჩენილმა სამარხებმა ქ. დმანისს წელიწადში დაახლოებით 200-300-მდე უცხოელი დამთვალიერებელი შესძინა.

2. ქონების გადასახადი

2008 წელს ქონების გადასახადიდან შემოსულმა თანხამ 11 705.2 ათასი ლარი შეადგინა, რაც საქართველოში მთლიანად ქონების გადასახადიდან შემოსული თანხის 8.9%-ია.





აღსანიშნავია, რომ რეგიონში, ისევე როგორც საქართველოს ყველა მხარეში, ქონების გადასახადში ყველაზე მაღალი წილი საწარმოთა მიერ ქონების გადასახადს უკავია, მთლიანი გადასახადის 53%.

VII. ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები


1. საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლები

2008 წელს რეგიონში საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლებიდან მიღებულმა შემოსავალმა 36 942.9 ათასი ლარი შეადგინა, რაც საქართველოს მასშტაბით მიღებული შემოსავლების 7.7%-ია.



3. ადგილობრივი მოსაკრებლები

2008 წელს ადგილობრივი მოსაკრებლებიდან მიღებულმა შემოსავალმა 2 402.9 ათასი ლარი შეადგინა, რაც საქართველოს მასშტაბით მიღებული შემოსავლის 3.9%-ია. აღსანიშნავია, რომ რეგიონში ადგილობრივი მოსაკრებლის 83% მხოლოდ ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტზე მოდის.



4. ფინანსური დახმარებები

სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონეების ორგანიზაციებიდან ქვემო ქართლის ადგილობრივი ბიუჯეტში გრანტებიდან მიღებულმა შემოსავლებმა 46 834.4 ათასი ლარი შეადგინა, რაც ყველა რეგიონში გრანტებიდან მიღებული შემოსავლების 7.2%-ია.

ამასთან, ადგილობრივი ბიუჯეტის ფინანსურმა დახმარებებმა ტრანსფერის სახით 17 426.7 ათასი ლარი შეადგინა, რაც საქართველოს მასშტაბით გაცემული ტრანსფერების მხოლოდ 3.5%-ია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ტრანსფერების განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით.

	გამოთან	მიზნობ	სპეციალ	სულ:
	ათასი ლარი			
ქ. რუსთავი	3 840	268	2 833	6 941
ბოლნისი	0	310	514	824
ბარჯახანი	0	95	2 003	2 098
ღმანისი	1 466	96	781	2 343
თეთრიწყარო	928	121	300	1 349
მარნეული	1 523	225	461	2 209
წალკა	1 093	82	488	1 663
სულ:	8 850	1 197	7 380	17 427